

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230579490
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.05.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 33 18 67
სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი	79670804828823

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, გივი სეთურიძე (პ/ნ 01024002509) , როგორც ამხანაგობა "სააკაძე -2007"-ის თავმჯდომარე, თამხმობას ვაცხადებ, შპს „Iberia Food Company“-სთვის (404992273) (შემდგომში - კომპანია) 2022 წლის 15 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადაცემული იჯარის საგნის ტერიტორიაზე (იჯარის საგანი მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა კოსტავა, N80/82-2, საბურთალოს ქუჩა N4, N6 (ნაკვეთი N28/37)-ში მდებარე 100 კვ.მ.ფართს საკადასტრო კოდით 01.10.13.028.037.01.02.003 და ქ. თბილისი, ქუჩა კოსტავა, N80/82-2, საბურთალოს ქუჩა N4, N6 (ნაკვეთი N28/37)-ში მდებარე 132 კვ.მ. ფართს საკადასტრო კოდით 01.10.13.028.037.01.02.002) და ასევე იჯარის საგანთან დაკავშირებულ საერთო ქონებაზე (მათ შორის ფასადზე და სხვა) განათავსოს კომპანიის საქმიანობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სარეკლამო საშუალება / მასალა.

ამხანაგობა "სააკაძე -2007"-ის თავმჯდომარე

გივი სეთურიძე-

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ხუთ მაისს მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N76-ში, მომმართა ამხანაგობა "სააკაძე -2007"-ის თავმჯდომარემ გივი სეთურიძემ, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გივი სეთურიძემ (დაბ.22.03.1961წ. თელავი, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი ვახტანგ ჭაბუკიანი ქ. N 2 ბ. 2-32, პირადი: 01024002509, პირადობის მოწმობის N 18IA52322, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 04.07.2018წ.) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ გივი სეთურიძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას

რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე თანხმობის 1 ეგზემპლიარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 6 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა) აგრეთვე დ.ღ.გ. 1 ლარი და 08 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა). – სულ გადახდილია 12 ლარი და 08 თეთრი.

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე